

კონკურსი *Victoria* დაარსდა 2008 წელს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე. კონკურსის იდეის ავტორია უნივერსიტეტის თანამშრომელი, ვიქტორია ჯუღელი. კონკურსი ტარდება კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორატის მხარდაჭერით. თავდაპირველად კონკურსი ითვალისწინებდა სტუდენტებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში კლასიკური ენების, კერძოდ კი ლათინური ენის პოპულარიზაციას და მის მიმართ ინტერესის გაღვივებას. შესაბამისად, კონკურსის დაფუძნების პირველ წლებში, 2008-2009 წწ., კონკურსი სწორედ ლათინურ ენაში ტარდებოდა. 2010 წელს გადაწყდა ასევე, კონკურსის ჩატარება ძველ ბერძნულ ენაშიც და ამ დროიდან კონკურსი უკვე ორივე კლასიკურ ენაში იმართება. კონკურსი ტარდება ყოველწლიურად, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, 22 ივლისს. მასში მონაწილეობა შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის სტუდენტებს, როგორც კლასიკური ფილოლოგიის, ასევე ჰუმანიტარული მიმართულების განხრით. შესაბამისად, საკონკურსო საკითხები, რომლებიც მათ ეძლევათ, სხვადასხვა სირთულისაა. მონაწილეთა ნაწერები ანონიმურია და მათ ასწორებენ უნივერსიტეტის შესაბამისი საგნის პროფესორ-მასწავლებლები.